1916/3

# თეატრი და ცხოვრება

სურათებიანი სალიტერატურო ჟურნალი

№ 26 1916
კვირა, 26 თიბათვე

ფასი 10 კ.

წელიწადი მეოთხე
გამოცემისა



თავ. კ. ნ. აფხაზი
აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლად ახალად არჩეული.



თეოფილე ხუსკივაძე
1 მკათათვეს 3[illegible] წ. უსრულდება, რაც მწერლობს და სამშობლო სცენის აღორძინებას ემსახურებოდა. დაწვრილებით შემდეგ.



თავ. დ. ო. ნიჟარაძე
დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლად ახალად არჩეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 26 თიბათვე

**ერთი** როგორც გიქირდეს—ისე გიღირდეს.
**დასი** დღევანდელი მდგომარეობა გვავალებს, ისე გავისარჯნეთ, როგორც ჩვენს წინმსვლელობას მოუხდება.

ომიანობის გამო ჩვენს სასცენო ხელოვნებას ბევრი მუშაკი მოაკლდა.

თბილისი, ქუთაისი, ბაქო, ხაშური, ჭიათურა და სხვ. წინა წლების მსგავსად, ალბად, წელსაც იყოლიებენ დრამატიულ დასთ მაგრამ რაც უნდა უკეთესი ძალა შეჰკრიბონ, აწინდელ პირობებში გაუძნელდებათ სრული ქმნილ დასთა შედგენა.

ამიტომ სიამოვნებით აღვნიშნავთ ქუთ. დრამ. საზ-ის. გამგეობის განზრახვას თბილის-ქუთაისისთვის ერთი დასის შედგენის შესახებ

ფრიად კარგი აზრია, მაგრამ ამ დასის მოქმედება მხოლოდ ამ ორი ადგილით არ არ უნდა შეიზღუდოს, არამედ მან წარმოდგენები უნდა ჰმართოს ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, სადაც კი მოხერხდება.

რასაკვირველია, დასი უნდა იყოს რჩეულ, დროის შესაფერი რეპერტუარით, ყოველი პიესა სრულის ანსამბლით მოამზადოს და ერთი და იგივე პიესა ყველგან დასდგას.

საჭიროა ისიც მოვიხსენიოთ, რომ ეს დასი ადგილობრივ დრამ. დასთა მოქმედებას არა თუ შეაფერხებს—წარმატების გზას შეუყენებს...

და რაც უფრო ხამლე შეადგენენ ასეთს დასს —მით უკეთესი!..

## ექსპრომტი

როს თეატრის დიდ დარბაზში
მესმის ვაშა, მესმის ტაში,
აღტაცებით, აღმაფრენით
დავნავარდობ მაშინ ცაში.
მაგრამ როცა ფრთა წაჭრილი
კვნესით დავალ ჩემს ქუჩაში,
ვიღარც ერთი ვეღარა მცნობს
ამ ჩნენსდუხჭირ ცხოვრებაში!..



# მწერალი

ერთს პატარა დაბაში გავეცანი მე ამდარბაისელ თავადს. მეგობართან ვიყავი სტუმრად, აღფრთოვანებული გადავცქეროდით მაღლობიდან მინდორ-ველს, როდესაც იგი მოგვიახლოვდა ჩვენ:

— ჰა, ყმაწვილებს გაუმარჯოს, როდის მობრძანდით ქალაქიდან?

— სალამი თავადო! გაიცანით! ახალგაზდა მწერალი...

— დიდათ სასიამოვნოა, დიდათ! დიდხანს დარჩებით, ყმაწვილო, ჩვენს დაბაში?

— სიამოვნებით დავრჩებოდი, რომ დრო მქონდეს, მაგრამ...

— რა თქმა უნდა, დრო არ გექნებათ. მაინც რამოდენი ხნით?...

— ხვალ დილით უნდა გავემგზავრო.

— არა გრცხვენიათ?—მიმართა მან ჩემს მეგობარს,—რომ შემთხვევით არ შეგხვედროდით, ისე უნდა წაბრძანებულიყო ეს ყმაწვილი, რომ ჩვენს ოჯახში პურმარილი არ მიეღო? ხომ იცი მე როგორ ვაფასებ მწერლებს? გთხოვთ ამაღამ მეწვიოთ, შესაფერისად ვერ გაგიმასპინძლდებით, მაგრამ ბრალი თქვენ მეგობარს დასდეთ.

— გეწვევით, გეწვევით, თავადო, უპასუხა ჩემს მაგივრად მეგობარმა და წყნარი ხმით მეითხრა: ვეწვიოთ, რა გვენაღვლება? მშვენიერი ასული ჰყავს, საუცხოვო დროს გავატარებთ.

***

დიდი კაკლის ძირში გაგვიშალა სუფრა თავადმა. ყოველ გვარად სცდილობდა ჩვენს გართობას.

— ნუ მოიწყენთ, ყმაწვილებო. აბა ერთი გვიმღერე რამე,—ეტყოდა თავის ასულს და ისიც სიმებთან ერთად ათრთოლებდა ნაზ ხმას და გრძნობით აღსავსე სიმღერებს უწრთებდა მთვარიან ღამეს.

— საუცხოვოა! მშვენიერია,—იტყოდა ჩემი მეგობარი ყოველ ლექსის დასრულების შემდეგ და ვნებით აღსავსე თვალებს მიაპყრობდა ასულს, ის-კი გაიყურებოდა ღამის წყვდიადში და გატაცებული უმღეროდა ვიღაც შორეულს თავის საყვარელ არსებას და არა ჩვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდათ ნასიამოვნები დავბრუნდი ქალაქში.

აჰ, აქ ვინ გთვლის ყურადღების ღირსად საბრალო კაცუნა! უმნიშვნელო მწერალო, ყოველ ფეხის ნაბიჯზე კიცხვა და გმობა, გარეწარივით მარტოკა ხეტიალი, ხალხით სავსე ქუჩებში, იქ-კი თურმე თავადებსაც სცოდნიათ მწერლის პატივისცემა

ამ გვარ ფიქრებით ვიყავ გართული დაბიდან დაბრუნების ერთი კვირის შემდეგ, რომ უეცრივ მხიარული ღიმილით შემოიჭრა ჩემს ოთახში ახლად გაცნობილი თავადი.

— ბატონ მწერალს გაუმარჯოს! როგორ გიკითხოთ?. აი, დამჭირდით და მოგნახეთ კიდეც. სიმართლე გითხრათ ცუდი ადგილი ამოგირჩევიათ, რატომ სასამართლოს ახლო არ სცხოვრობთ? ახლა ერთი სათხოვნელი რამა მაქვს და იმედია...

— რით შემიძლია გემსახუროთ.

— გადამეკიდა, ყმაწვილო, ერთი ყაძახი ჩემი ნაყმევი და ერთ ამბავს მიწევს. მთელ ჩვენ სოფელში მის მეტი ურჩობას ვერ მიბედავს, ისკი... პა! პა! პა! ისეთი თხოვნა უნდა დამიწერო, რომ ის ყაძახი გავაციმბირო, უსათუოდ უნდა გავაციმბირო. საბუთიც მაქვს, ყმაწვილო: წითელ რაზმში ნამყოფია ის ყაზილარი ისა.

— მოწყალეო ხელმწიფევ! მე თქვენი თხოვნის დაწერა არ შემიძლია.

— აჰ, აბა როგორი მწერალი ხარ, თუ ამისთანა უბრალო თხოვნას ვერ დაწერთ? ხა! ხა! ხა! გაიცინა თავადმა, რადგან ჩემი პასუხი ხუმრობად ჩათვალა,

— თქვენ შეცდომაში შესულხართ, თავადო. ჩემმა მეგობარმა ჩემი თავი მწერლად გაგაცნოთ. ამით ის-კი არ უნდოდა ეთქვა, თუ ვისიმე დაბეზღება დაგჭირდესთ პირველ შემთხვევისათანავე მას მიმართეთო, არამედ გაგაფთხილათ: ახალგაზდა მწერალია და ცუდი არასფერი ჩაიდინოთ, თორემ გაზეთის ფურცლებზე...

— როგორ? თქვენ გაზეთის მწერალი ბრძანდებით?

— დიალ-დროგამოშვებით ვათავსებ წერილებს.....

მშვიდობით ბრძანდებოდეთ,—წამოიძახა მან და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან...

# უენრო ჭირისუფალი



ალ. თევ. ყიფშიძე-ფრონელი

დიდუბის პანთეონი კიდევ ერთი ძვირფასი სამარით გამდიდრდა.

სამშაბათს, 21 თიბათვეს, მიწას მიაბარეს საზოგადო მოღვაწე-მწერალი ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე, მწერლობაში ა. ფრონელის, თერგ დალეულის, ა.—ლის, ან-ფარისა და სხ. ფსევდონიმებით ცნობილი.

ალექსანდრე სოფლელი მღვდლის თევ. ყიფშიძისა და მაგდანა ედილაშვილის ასულის შვილი იყო, დაიბადა 1862 წ. 1 იანვარს ს წვერში, გორის მაზ. პირველად სწავლობდა გორის სასულ სასწავლებელში, აქედან თბ. სას. სემინარიაში, სადაც მეოთხე კლასამდე დარჩა, ხოლო შემდეგ თვითმომზადებით გიმნაზიის მერვე კლასის მოწმობა აიღო და 1884 წ. ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა, საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტზე (კავკასიის სტიპენდიით) და 1888 წ. დაამთავრა უმაღლესი განათლება.

იმ ზაფხულს ხარკოვის გუბერნიაში ცნობილ მემამულე სოლნცევის ოჯახში დარჩა გუვერნიორად; იმავე წელს შემოდგომით სამშობლოში დაბრუნდა სამასწავლებლოდ, მაგრამ რადგან იანოვსკიმ არ მიიღო—არა რუსთათვის (ტუზემცებისათვის) ადგილი არა მაქვსო, ამიტომ სახაზინო პალატაში შევიდა, მალე საგუბერნიო საქმეთა სამმართველოს მდივნად, მერე—საგლეხკაცო საქმეთა საკრებულოს მდივნად, აქედან—

ახალციხის (ჯავახეთის) მომრიგებელ-შუაკაცად, შემდეგ—საგუბერნიო მმართველობის მოგზაურედ (სოვეტნიკად), 1905 წ. მოძრაობის დროს—ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწედ, სადაც ცდილობდა მოძრაობას ხალხის სასიკეთო ნაყოფი მოეტანა. რეაქციის დაწყებისას, 1906 წ. სამსახურიდან დაითხოვეს, ამავე წლის გასულს თბ. დეპუტატთა საკრებულოსთან სამიწათ-მომწყობი კომისია რო შეიქმნა, იგი კომისიის მდივნად იქმნა მიწვეული, სადაც სიკვდილამდე (16 თიბათვემდე) მსახურებდა, კომისიის ბურჯად ითვლებოდა და აქ მოღვაწეობით ჩვენი ქვეყნის სამიწათ-მოქმედო სასმეს დიდი ამაგი დასდო.

**როგორც პრაქტიკული მოღვაწე**, ალ. ყიფშიძე ზრუნავდა, რომ მიწა წყალი ხელიდან არ წაგვსვლოდა,—მისი მეცადინეობით ქართველმა გლეხკაცობამ ორმოცდა ათიათას დესეტ ნამდე მიწა შეიძინა, ცდილობდა დაბა-სოფლებში გზა-ხიდები გაეკეთებინათ, ხელს უწყობდა ქართულ საკულტურო საქმეთა აღორძინებას, სრულიად საქართველოს გაერთიანებას—სხვა და სხვა გვარტომის ქართველთა შეკავშირებას. საერთო სამშობლოს—საქართველოს საკეთილდღეოდ და სხ. ბეჯითი მშრომელი კაცი იყო და განსაკუთრებული ყურადღებით ჰქონდა შესწავლილი ყველა ის საბუთი, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს შეეხება: სახელმწიფოებრივი, საეკლესიო, სამიწათმფლობელო და სხ., ამიტომაც იყო, რომ ამ კითხვების შესახებ მას მიმართავდენ ხოლმე და იგიც შესაფერ მოხსენებას ამზადებდა ხოლმე საჭირო ადგილს წარსადგენად.

**როგორც ადამიანი**, ალ. ყიფშიძე ყველასთვის საყვარელ, პატივსაცემ და სამაგალითო პირად იყო მიჩნეული. თუმცა თვით სტიპენდიით გამოიზარდა, სამშობლოში დაბრუნდა თუ არა, ყველას დახმარებას ხელი გაუწოდა: მამისეული სახლი უფროს ძმას (გიგოს) დაუთმო, დებს უპატრონა, თვით თბილისში საუკეთესო სახლი შეიძინა, ს. სადოლაშენში მშვენიერი ხილის ბაღი გააშენა (რვა დღიურამდე), სასახლით და ფიქრობდა საზოგადოებისთვის ენდერძებინა, გარნა ამ სურვილის შესრულება მოულოდნელმა სიკვდილმა აღარ აცალა. თუმცა მისი ასეთი გარჯა, კერძოდ ქონების შეძენა, ყველა ქართველისათვის მისაბაძი უნდა იყოს, ჩვენ მაინც მხოლოდ ამ მხრივ არ ვაფასებთ მის მოღვაწეობას, არამედ მწერლობით.

**როგორც მწერალი**, ალ. ყიფშიძე სიყრმიდანვე მისდევდა მწიგნობრობას; პირველ ხანში სემინარიის მოწაფეთა ჟურნალის „ნორჩი ტვინი“-ს მთავარი თანამშრომელი იყო, 1884 წ. ან. დუღაძის ჟურ. „ნობათში“ დაბეჭდა მოთხრობა გლეხთა ცხოვრებიდან, ამავე ხანებში ჟურ „ივერიაში“—ვ. გარშინის რავდენიმე მოთხრობის თარგმანი, ხოლო უნივერსიტეტიდან დაბრუნების შემდეგ, 1889 წ. გაზ. „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი იყოს, ვითარც განვითარებული კაცი, სამშობლო ქვეყნის ვითარებაში ჩახედული და ქართული ენის ფაქიზად მცოდნე, სასარგებლო და საჭირო ჟურნალისტად ითვლებოდა: ხშირად სწერდა მეთაურებსაც სახელგვარის მოუწერავად.. ბოლო ხანებში „კლდის“, თანამშრომელი შეიქმნა, ხოლო უკანასკნელ დროს—„საქართველოს„ ერთი დამფუძნებელთაგანი და მახლობელი თანამშრომელი.

მის მრავალ ნაწერთა შორის აღსანიშნავია, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, „მთიულეთი 1804 წ.“ „კახეთის ამბოხება 1812 წ.“, „მთის არწივი შამილი“, „დიდებული მესხეთი“, და სხ. მაგრამ ყველა ამათი გვირგვინია „მთიულეთი 1804 წ“, ეს მაღალი მამულიშვილური გრძნობით, სისხლის წვეთებით დაწერილი ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვის ამბავი, და „ამბოხება კახეთისა 1812 წ.“, ცრემლით შექმნილი მწარე ამბავი უპატრონოდ დარჩენილ ჩვენი ქვეყნის აოხრებისა ..

წაიკითხეთ, თუ არ წაგიკითხავთ, ეს ორი წიგნი და მიხვდებით, რა უწულულებდა გულს ამ ჩვენი ქვეყნის უებრო ჭირის უფალს; როს გაიცნობთ, მაშინ მათი დამწერის წინაშე მოწიწებით მუხლთ მოიდრეკთ და მასზე იტყვით: „ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“,—არასოდეს არ დაგავიწყდებათ ამ ნათელი მწერლის სულიერ-ზნეობრივი სახე და ნორჩ თაობას მის ნაწერებს გააცნობთ, რომ მამული შეიყვარონ, განაწამებ სამშობლოს გაცნობით თვისი სული იწრთონ და მტკიცე მამულიშვილებად აღიზარდნენ.

დიახ, ვისაც სამშობლოსაგან მადლობის დამსახურება ენატრება, ალ. ყიფშიძისებური მოღვაწეობა და კაცური კაცობით ცხოვრების გზა ირჩიოს მამულის საკეთილდღეოდ.

ნეტარება შენ, შეგინებულ, ფეხქვეშ გაქელილ მამულის წყლულთა მალამოდ მოვლენილო და მის სამსახურში სულდალეულო, სამშობლოს უებრო ჭირისუფალო!..

**იოსებ არიმათიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხონის თეატრში



ოლ. ლოლობერიძე



მარო ჭდიანი



ალ. ყალაბეგიშვილი

# იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას

(დასასრული. იხ. „თ. და ც." № 24—25)

ახალი ცხოვრება ჩვენში სულ 30—35 წელი თუ იქნება რაც დაიწყო; ფეოდალიზმის დარღვევა და კაპიტალიზმის შემოსვლა გუშინდელი ამბავია და, რასაკვირველია, რომ ამ ახალი ცხოვრების ნიადაგზე წარმოშობილი იდეოლოგიაც ჯერ სუსტი და ფეხაუდგმელი იქნება. ახალმა ცხოვრებამ ახალი აზრები შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ აზრის შემოტანა, თუ ადვილია, გრძნობის გადმონერგვა კი პირდაპირ შეუძლებელია, ვინაიდან აზრი არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მშრალი ინტერნაციონალური ფორმულა, გრძნობა კი ადგილობრივი, ნაციონალური მოვლენა, კონკრეტიულ პირობებში წარმოშობილი და გამთბარი. ჩვენ შეგვიძლია სხვის მიერ გამოტანილ მეცნიერულ დასკვნებით მშვენივრად გავაშუქოთ ჩვენი ცხოვრება, ხოლო სხვისგან ნასესხებ გრძნობით კი ჩვენს ცხოვრებას ვერ დავხატავთ ხელოვნურად. გრძნობა, რომელიც ხელოვნების საძირკველიც არის და კედელიც, სწორეთ ადგილობრივად უნდა იყოს შემუშავებული და მხოლოდ მაშინ იქნება ის შესაფერი ტანსაცმელი ინტერნაციონალურ თვისების მქონე აზრისა. აზრის სამთავრო, მეცნიერება, ინტერნაციონალურია, ხელოვნება კი—ნაციონალური. ვგულისხმობ გრძნობის ტემპერამენტის, ხატებათა თავისებურობის და საზოგადოთ გარეგანის მხრივ, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა გრძნობას აქვს.

ასეთი განმარტების შემდეგ ჩვენში ევდოშვილის მიმართულების პოეზია, რასაკვირველია საკმაოდ უნდა ბორძიკობდეს. ეს ასეც არის და კიდევ დიდხანს იქნება ასე. თუ ჩვენზე ასწილად განვითარებულმა ევროპის მუშათა მოძრაობამ ჯერჯერობით მხოლოდ ვერჰარნი მოგვცა რა უნდა შექმნას ჩვენმა უბადრუკმა, ნახევრად ფეოდალურმა ცხოვრებამ? კიდევ დიდი, დიდიხანია საჭირო, რომ ჩვენში წარმოიშვას ნამდვილი მუშათა პოეტი, ან მწერალი, რომელიც სულ ახალის გრძნობით და ახალის სადებავებით გაგვიშუქებს ცხოვრებას. ამ მიმართულების მიმდევარი დღევანდელი ჩვენი პოეტები, თუ მწერლები მხოლოდ ნიადაგს ამზადებენ ასეთის მგოსნისათვის, ერთგვარ მასალას უგროვებენ მას. მუშათა პოეზია, ეს ქალაქური ხელოვნებაა, ჩვენში ჯერ კიდევ სოფლური პოეზია ბატონობს და კარგა ხანიც იქნება ასე.

დაუბრუნდეთ უდროვოდ დაკარგულ მგოსანს, რომლის დამსახურება ქართული ხელოვნებისა და აზროვნობა-ლიტერატურის ისტორიის წინაშე ჩვენ კონსპექტიურად აღვნიშნეთ. ხელოვნების წინაშე მისი დამსახურება, უნდა ვსთქვათ, რომ ერთობ მკრთალად მოვიხსენიეთ და საჭიროთ მიგვაჩნია დავუმატოთ შემდეგი: მოიგონეთ ევდოშვილის მიერ დახატული მატანტალა, ლოთი, მდიდრის ქულაჯაზე მიჩერებული მუშა, ასოთამწყობნი, მკერავი ქალები, თვით პოეტის ლირიკული ქანდაკება, სადაც ის გაჰკივის „მეგობრებო წინ, წინ, გასწითო", ან და მედგრად გაიძახის ღრუბლებში აჭრილი „მე ღროს შვილი ვარო", მოიგონეთ რეაქციის შემდეგ მის მიერ დაწერილი პირდაპირ კლასიკური ნანინა და ბევრი სხვა და დამეთანხმებით, რომ ევდოშვილმა საკმაოთ

ეროვნული

დაუტოვა ქართულ ხელოვნებას შესანიშნავი სალებავებით და ტემპერამენტით დახატული სურათები.

ეგლოშვილი, გარდა ლექსებისა, სწერდა ბელეტრისტულ ნაწარმოებთაც. მახსოვს ერთ სააღდგომოთ ცხარე ცრემლებით მატირა მისმა „კრავის ნაამბობმა". მოთხრობებს ათავსებდა „კვალში" და უმეტესად კი საბავშო ჟურნალებში, ასე რომ საბავშო ლიტერატურაშიც ბევრი ხელოვნური ნაწარმოები შექმნა მან. ამ მხრივ მას ნაკლებათ იცნობს ფართე საზოგადოება, სამაგიეროთ „ჯეჯილითა" და „ნაკადულითა" აღზრდილილი ბავშვები მას შიო მღვიმელზე ნაკლებათ როდი ადიდებენ.

ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განსვენებულმა აგრეთვე ქართულ იუმორისტულ ლიტერატურაშიც. ვის არ ახსოვს „კვალის" რიგოლეტო, რომლის ყოველი ფელეტონი ყუმბარასავით გადმოვარდებოდა ხოლმე ყოველ კვირას რევოლუციის წინა დროინდელ საქართველოში. ჩვენ, მაგ., ახალგაზრდობა მოვიდოდა თუ არა „კვალის" უკანასკნელი ნომერი, შინაარსში იმ წუთში რიგოლეტოს „სამშობლოს ცაზე"-ს დავუწყებდით ძებნას და ვნახავდით თუ არა, გულის ფანცქალით გავშლიდით ჟურნალის ამ ადგილს და ისეთის ხარხარით და აღტაცებით ჩავიკითხავდით ფელეტონს, რომ მეტი არ შეიძლებოდა ყოველი სიტყვა სიცილს გვგვრიდა გოგოლისა არ იყოს ამ უდარდელ სიცილს იქით ვინ იცის რა გრძნობები ინასკვებოდა ჩვენს არსებაში. რიგოლეტო თავის მკვეთრ ენას უშინაარსო რამეებზე არ ავარჯიშებდა.

აი რა სახით ვიცნობდი მე იროდიონს და რისთვის შემიყვარდა იგი ასე უსაზღვროდ, ასე უანგაროდ.

და ერთ უბედურ დღეს-კი ხედავ, რომ ეს შენთვის სათაყვანო არსება სწორეთ იმ ხალხის ამოსდგომია გვერდით, რომელსაც იგი მთელის თავის არსებით ებრძოდა და რომელთა მისწრაფების წინაღმდეგ მომართული იყო მისი მჭექა-ქუხარე ქნარი. მერე არ იკითხავთ რა გიჟური იყო ეს ნახტომი? პოეტის შემოქმედების საუკეთესო ხანა უკვე განვლილი იყო, მას უკვე ჰქონდა ნათქვამი, რის თქმაც კი შეეძლო, მისი პოეტური არსების ფურცლები თითქმის სავსებით გადაიფურცლა და აი, როცა ის უკვე წაკითხულ წიგნათ ის იყო გადაიქცა, ისკუპა და სხვა ხეზე გადაფრენით ახალგაზდური ჭანგების თქმა დააპირა. სთქვა თუ არა ამის შემდეგ მან რაიმე ღირს შესანიშნავი, ამაზე ქვევით მოგახსენებთ, აქ კი აი რაზე მივაქცევთ თქვენს ყურადღებას.

მიუხედავად იმისა, რომ სათაყვანო არსების ამ გვარი საქციელი ძალიან ხშირად თავზარდამცემიც კი არის, მე ვფიქრობ, რომ მაინც მოთმინებით უნდა ავიწურვოთ, გრძნობა უნდა დავაოკოთ და მოვიგონოთ შემდეგი სიტყვები ცოტა გადაკეთებით: მწერალი არის ადამიანი და არაფერი ადამიანური მისთვის უჩვეულო არ არის. თუ კარგი მწერალი იმავე დროს კარგი ადამიანი და მოქალაქეც არის, ეს პირდაპირ ბედნიერებაა, მაგრამ ამ ფორმულის მეორე ნაწილში თუ მწერალი მოიკოჭლებს, მაშინ ძალაუნებურად ზურგი უნდა აქციო მისს ნაკლს და იმას უნდა დაეწაფო, რაც მას კარგი და სასარგებლო შეუქმნია. ყოველ ადამიანში უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს არა მისი კერძო პიროვნება, არამედ საზოგადოებრივი მისი სახე. ყოველ მწერლის დაფასებისას კვლევა-ძიების ცენტრი მისი მოღვაწეობის შუაგულში უნდა გადიტანო და არა პიროვნულ ცხოვრებაში, უკანასკნელი დროებითია, წარმავალი, პირველი-კი უკვდავი და ყველასათვის საინტერესო. აბა დახედეთ ისტორიას რას გვეუბნება იგი: ბაირონი, როგორც პიროვნება, ერთობ გარყვნილი იყო, მაგრამ ჩვენ ეს დღეს არც-კი გვახსოვს და მხოლოდ იმით ვსტკბებით, რაც მან საზოგადოებას მიუძღვნა. ოსკარ უაილდიც საკმაოდ გათახსირებული პიროვნება იყო, ძალიან უპრინციპო იყო ჰეინეც და ხშირად იმას ჩადიოდა, რასაც გუშინ აძაგებდა. არაჰუმანიური პიროვნება იყო დოსტოევსკი, ნეკრასოვს ვინ იცის რას არ აწერენ; გოგოლი ხომ პირდაპირ ბნელეთის მოციქულად მოევლინა რუსეთს, არა სიმპატიური პიროვნებანია გონჩაროვი, პისემსკი... მაგრამ ამის გამო არც ერთი მათგანი არ უარუყვიათ: რაც წარმავალი იყო მათში— წავიდა, ხოლო სამახსოვრო-კი კაცობრიობის სააზროვნო პანთეონშია. „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო".

შეიძლება, რომ ჭრილობა ახალია. ისე ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმოქმედოს ადამიანმა, ასე ადუშფოთებლად ვერ შეხვდე მეგობრის დალატს, მაგრამ ისტორია გვასწავლის, როგორ უნდა მოვიქცეთოდა ამიტომ ნემეზიდის სასაცილოდ არ უნდა გავიხადოთ თავი და დროზე უნდა ჩავდგეთ ნორმალურ კალაპოტში.

ასე ვმსჯელობ მე საზოგადოთ იროდიონის შესახებაც, რომლის მოწინადმდეგეებთან გადასვლის გამო ჩემში გამოწვეულ იარას მხოლოდ ის მოვლენა ადიზიანებს, რომელიც მისმა ახალმა მასპინძლებმა გაუწიეს მგოსანს. ვინ არ იცის, რომ იროდიონი და მისი პოეზია პირდაპირ სძულდათ და სძულთ დღესაც მგოსნის დღევანდელ ჭირისუფლებს; აბა ერთი სტრიქონი მაჩვენოს ვინმემ მათს ორგანოებში, სადაც ვინმე იროდიონ აქებდეს. მაშ რით ავხსნათ ასეთი მოქცევა მათ მიერ მგოსანისადმი?.

ცოცხალი იყოს ძველი რიგოლეტო და ბერანჟეს მთარგმნელი ევდოშვილი მაშინ ნახავდით, თუ როგორ დაიფრენდა ამ რწმენით მოვაჭრე ხალხს, დღეს-კი... ხომ ხედავთ რისი მოწამე ვართ, ვინ ტირის ვის მკვდარს? დედინაცვალნი დასტირიან ნიანგის ცრემლებით მგოსანს, ხოლო ღვიძლი დედის კალთაში-კი „მისთვის არცა სად სამარე, არცა სათხარალ ბარია“, დღეს დღეობით მაინც. ამაში პირველი დამნაშავე თითონ მგოსანია, მაგრამ რაც დასავიწყებელია, ის დაავიწყდება და ევდოშვილი ისევ ძველი ევდოშვილად იქნება მიჩნეული. ისტორიის გადატრიალება არავის შეუძლია, დონკიხოტობას ნურავინ ჩემობს.

შექმნა თუ არა ევდოშვილმა მეორე წრეში გადასვლის შემდეგ რაიმე თვალსაჩინო ხელოვნური ნაწარმოები? გადაჭრით შეიძლება ითქვას,

---

**მ. ჩლიპულ** (გაგრძელება)

**ბზაზე** იხ. „თ და ც.“ № 25

**მაკ.** მართლა? როგორს?

**იას.** ინტენდანტსტვოში უფროს გენერლის ადგილზე მნიშნავენ, იმ ადგილიდან კარგა გამორჩენა მექნება! ესეც რომ არ იყვეს. შენ ჯერ მარტო ნდობა სთქვი... სახელი? იქიდამ შეიძლება ხანდა ხან ვისესხოთ ხოლმე და მერე ჯამაგირიდან შევავსებთ.

**მაკ.** კარგია, შენმა მზემ! ეგ კარგი მითხარი?. (შემოვა მოსამსახურე.)

**მოსამს.** თავად შაქრო დიდებულიძე გახლავთ.

**მაკ.** სთხოვე. (მოსამსახურე გადის)

**იას.** რა? საქმე ხომ არა აქვს ოქროსთან?

**მაკ.** ჰო, უნდა კრებაზე წაიყვანოს, (ოქროს გახძახებს) ოქრო! შაქრო მოვიდა.

**ოქროს ხმა** („ეხლავე გამოვალ.“)

**იას.** მე გავალ! ხომ ვიცი რაზედაც დაიწყებენ ლაპარაკს. (გადის)

Ш

**მაკინე, შაქრო და ოქრო.**

**შაქ.** (შემოვა. ხელზე ჰკოცნის მაკინეს)

**მაკ.** მობრძანდით! ოქროც ეხლავე გამოვა, ვერ წარმოიდგენთ, რა რიგად მოწყენით ყავს!

**შაქ.** არა უშავრს რა, გავართობთ. (შემოდის ოქრო.)

**ოქრ.** აა! გამარჯობა შაქრო! რა'ა იქ? როგორა ხარ?

**შაქ** მე კარგად ვარა, მაგრამ შენ კი ცოტა კარ ა ვერ ყოფილხარ?

**ოქ.** საიდან წარმოიდგინე, რომ ვერა ვ არ კარგად?

**შაქ.** აი, კნეინამ შემომჩივლა, რომ კარგ გუნებაზე ვერ არის ოქროვო!

**ოქ.** ესე ჩემო ძმაო, ყოველთვის, რომ კარგ გუნებაზე იყვე' ადამიანი, რა იქნება? ინ არის იმისთანა, რომ მისი ჩანგი ერთ და. იმავე სიმღერით ჟღერდეს?

**შაქ.** არავინ.

**ოქ.** ადამიანის გული მეორე ბუნებაა. ას, როგორც ბუნებას ესაჭიროება განხილვა. დაკვირვება.

**შაქ** ეგ მ რთალია. ადამიანის გული ჩვენ მხელთ არ არის. ის ემორჩილება რაღაცა გ უგებარ თვისებას (მაკინეს) კნეინავ! ხვალ არ აპირებთ ოპერაზე წამობრძანებას? ვან-ბრანტი მღერის, ტრავიატაში?

**მაკ.** როგორ არა იასონს ბილეთები აუღია კიდეც!

**შაქ.** ოქრო, ხომ წამოხვალ კრებაზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არაფერ ამის მაგვარს ადგილი არ ქონებია. ის ისევ ძველ გზაზე იდგა, ხოლო გაცილებით ნაკლების ნიჭით. ვინაიდან სიბრაზე ნიჭისთვის დამღუპველია შემოქმედების დროს ადამიანი უკეთილესი არსება უნდა იყოს ამიტომ ჩემთვის პირდაპირ გაუგებელია, თუ რამ ათქმევინა პატივცემულ ივ. გართაგავას, ამ ჩვენში უკანასნელ წლებში კრიტიკულ ასპარეზზე გამოსულ ყველაზე ჭკვიან და დაკვირვებულ ადამიანს, რომ ევდოშვილმა მხოლოდ დასელების დაშორებით ჰპოვა თავისი თავი და მათთან უთვნისას არაფერი თვალსაჩინო არ შეუქმნიათ! პირდაპირ საკვირველია.

მინდა დარწმუნებული ვიყო რომ მგოსანი ამ სიტყვებით ბ. გართაგავამ პირდაპირ დაშხამა და ჩუმათ ცრემლები ჩამოადგრევინა, მინდა თავი დავაჯერო, რომ ევდოშვილმა ამ სიტყვების წაკითხვისას უკვე შეიგნო თავის მდგომარეობის სიყალბე, მინდა.. მაგრამ, ეს კმარა რაცა ვსთქვი...

განისვენე, ევდოშვილო, განისვენე! ჩემი ცდა კი ის იქნება, რომ რაც შეიძლება მალე დავივიწყო შენი საფლავის გარშემო ატეხილი განგაში, რათა კვლავ შეგიყვარო ძველებურის სიყვარულით.

**ვ. მალაქიაშვილი**

## ხალხური ლექსი

რად მიტევ, მამასახლისო,
გულირათა გაქვს დიდია?
იმით თუ მებუზღუნები,
ყელზე რო ჯაჭვი გკიდია! —
რკინებით სავსე სახლი გვაქვს —
ძაღლები ჯაჭვით გვიბია.

**გედ. გელოვანი**

---

**ოქ.** რასაკვირველია უსათუოდ. რომელ საათზე?

**შაქ.** სრულ ოთხ საათზედ. ახლა იმიტომ შემოვიარე შენსკენ, რომ შემეტყობინებინა! ისიკო ზაალიშვილთან უნდა შევიკრიფნეთ ყველანი.

**ოქ** ძალიან კარგი! ხოლო, ჩვენ უნდა ვეცადოთ, ჩვენმა ყოველმა შრომამ უქმად არ ჩაიაროს. არ უნდა მივსაბოთ ზოგიერთებს, ახალ მომავალ თაობას, რომელნიც ზათქით და ზეიმით ქადაგება სოფლად განახლებულ ცხოვრებას, თვითონ-კი თავს ანებებენ მამულ-დედულს, ჩაუგდია მოურავების ხელში, თვეში ექვსი-შვიდი თუმნის გულისათვის შესულა სამსახურში და ტრიალებენ ქალაქის უფერულ დამყაყებულ მორევში! ჩვენს ლაპარაკს, ჩვენს სიტყვას საქმეც თან უნდა მოჰყვეს!

**შაქ.** დიახ, ჩვენი მოვალეობაა რომ პირნათლად შევასრულოთ ყოველივე დაწყებული საქმე. მაშ ასე, სწორედ ოთხ საათზე მოხვალ ისაკასთან. მე კი ახლა უნდა სხვებსაც შევატყობინო. ნახვამდის

**მაკ.** რას მიეშურებით?

**შაქ.** არა, მეჩქარება. ნახვამდის, ოქრო!

**ოქ.** უსათუოდ მოვალ! ყველანი კი შეაგროვეთ.

**შაქ.** ყველანი, ყველანი იქნებიან. ნახვამდის! (გადის)

**ოქ.** ოხ, მაკო, ვერ წარმოიდგენ, როგორ გაბრუებული ვარ! აღარ ა მესმის რა, სულ თვალ წინ მიდგა ქეთინო! რა ვიცი, რატომ არა მწერს წერილს? არა, უსათუოდ ხვალვე წავალ, შევიტყობ, რა მოუვიდა?

**მაკ.** დამშვიდდი, ოქრო! მოითმინე, მოგივა, რისა გეშინიან! განა შესაძლოა, რომ ქეთინომ გიღალატოს? მ გრამ ვთქვათ აგრეც მოხდა, განა ვაჟკაცი არა ხარ? განა მაგისთანა რა არის ქეთინო, რომ იმის მსგავს ვეღარსად შეხვდე?

**ოქრო.** (ადელდება) მაკო! რას მეუბნები! დარწმუნებული ვარ, ჩემს დასამშვიდებლად ამბობ მაგას, თორემ განა სიყვარულის ვაჭრობა ადვილია? არა, მაკო, ქეთინო უნდა ვნახო, უნდა გავიგონო იმის მშვენიერ ტუჩებიდან,

**ოქრო**, გენაცვალე, თავს შემოგევლოს ქეთინოვო!

**მაკ.** (ცდილობს გაასწოროს თავის შეცდომა) ნუ გეშინიან, გენაცვალე. მაინც ის ისეთი კარგი გოგონაა, რომ მაგ სისაძაგლეს და ვერანობას არ ჩაიდენს და სხვაზე არ გაგცვლის! (მოვა როიალთანა რამდენი მე აკორდას აიღებს) მოდი, ოქრო, აიღე შენი სკრიპკა და დავუკრათ რაიმე სამხიარულო!




ძველი მგალობელნი
მღ. გრ. კარბელაშვილი  გ. ზალიკანიანი

# ქართული მუსიკა

ქართულ სიმღერა გალობის ასაღორძინებლად, სხვათაშორის, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს მოზარდ თაობას, სასწავლებლებში და ბავშვობას.—

გასაოცარია, სწორედ, რომ აგერ რამოდენიმე ხანია ჩვენს სასწავლებლებში, ეს ბავშვების გონებრივად და ზნეობრივად განმავითარებელი საგანი რიგიანად ვერ მოეწყო. ვერც ერთ ქართულ სკოლაში ქართულ სიმღერებს ვერ გაიგებთ,—გალობა ხომ ყველგან მოსპობილია.—გასაოცარია იმიტომ, რომ ახლა სპეციალისტი მასწავლებლები ჰყავთ, რომელნიც წინანდელ გალობის მასწავლებლებთან შედარებით უზრუნველყოფილნი არიან.—

რას ვხედავთ ახლა იქ? არასფერს და თუ არის რამ—არა ქართული.—იქაც სხვა ჰანგებზე, მართავენ ბავშვებს; ან არა და ღვთის ანაბარად არის მიგდებული ეს საგანი,—ბევრი კიდევ ასე ფიქრობს: „რა საჭიროა ეს

---

**ოქრო**. არა, სევდიანი სჯობია! (მივა აიდებს სკრიპკას და ნაღვლიანად იტყვის.) იქნება გულზე მომეშვას, რაღაც ქვასავით მაზევს; მაკინეს აკომპანი მენცით დაუკრავს სევდიან მელოდიას, კლასიკურ ნაწარმოებიდან ცოტა ხნის შემდეგ შემოვა მოსამსახურე და შემოიტანს წერილს.)

### IV

**იგინივე და მოსამსახურე.**

**მოსამს**. (შემოვა) თქვენ სახელობაზე წერილია, კნიაზო! (გადასცემს და გავა)

**ოქ**. (შესწყვიტენ ორკესტრი დაკვრას) წერილი? (დახედავს) ქეთინოსია.

**მაკ**. (აღელდება.)

**ოქ**. (დაიწყებს კითხვას) „კნიაზო, მივიღე თქვენი სიყვარულით აღსავსე წერილი, მაგრამ გვიან. უდიდესად გმადლობთ—გრძნობისათვის, რომლის ამ ჟამად ჩემგან მიღება მეღი იქნებ, რადგან სხვას ვეკუთვნი...“ (ძლივს დაამთავრებს კითხვას უეცრივ შეხედავს მაკინეს და სასოწარკვეთილი ქვითინით დაეცემა მის მუხლებთან) მაკო, შემიბრალე, მიშველე, დავიღუპე! (ქვითინებს)

**მაკ**. ოქრო! გენაცვალე! ნუ სტირი, განა ღირსია ის უმგზავსი შენი ცრემლებისა, შენი მწუხარებისა? რისიც ეშინოდა, მაინც არამცდა ის ადამიანი კი არა გველი ყოფილა, გველი (გულში იკრავს და ჰკოცნის)

### ფ ა რ დ ა

(სურათი მეორე)

(კნ. თევდო ზურაბიშვილის სასტუმრო. ოთახი ლაზათიანად მოწყობილი. მარცხნივ ფანჯარა აქვს, აქეთ-იქით კარები ოთახში პიანინო სდგას, ოთახის შუა კედელზე ჩამოფარებული მშვენიერი ხალი პატარა ტახტზე ეფარება კუშეტკა აღრთულია ბალიშებით და მუთაქებით (ფანჯარასთან ზის და შორს გაიყურება. მის სახეს მწუხარება ეტყობა, ხმა, ლაპარაკი სევდით გამსჭვალულია.)

**ქეთინო შემდეგ მაშო**

**მაშო.** (შემოვა) ქეთინო, კიდევ ოქროზე ფიქრობ? რა დაგემართა, ქალო?

**ქეთ**. (ქვითინებს) მირჩიე, მაშო, შენი ჭირიმე, რა ვქნა? მასწავლე, როგორ გავძლო უიმისოდ? სად არის? ვისთან? მიღალატა განა? მაშ ოქრომ სხვაზე გამცვალა? აკი მეუბნებოდა: შენა ხარ ჩემი ამ ქვეყნის საუნჯეო! დღეს რაღა ვარ მისთვის? განა არაფერი?

**მაშო**. დამშვიდდი, გენაცვალე, ქეთინო! ტირილით არაფერი გამოვა-რა! უნდა გცოდნოდა, ჩემო კარგო, რომ საერთოდ კაცები გაუტანლები არიან! ამისთვის, ჩვენ, ქალებს დიდი სიფთხილე გვმართებს მათთან! ოქრომ

საგანი ბავშვისთვის, რის გამოსადეგიაო?“ და სხვა.

ჩვენს ქალებსაც ხომ სრულიად არ ეინტერესებათ ქართული სიმღერა—გალობა.

უწინ და სულ ახლო წარსულშიც თუ თითეულ ქართულ ოჯახში რამოდენიმე ქალი იყო მომღერალ-მგალობელი, ეხლა მთელ საქართველოში სანთლით რომ ეძებოთ, ერთ ქალსაც ვერ იპოვით ქართულად მომღერალს და თუ შეხვდებით ძალიან იშვიათად.—აბა ახლა თვალი გადაავლეთ, რამდენ ქართველ ახალგაზდა ქალს აქვს მიღებული, თუ უმაღლესი არა საშუალო მუსიკალური განათლება მაინც?!—როგორც ყმაწვილი კაცები, ისე ქალებიც მრავლად მოგვეპოვებიან მუსიკის მცოდნენი როიალ-პიანინოზე, სკრიპკაზე და ნამეტნავად გიტარაზე დამკვრელნი, ოპერისა და რომანსების მომღერალნი, მაგრამ რა გამოვიდა?!—ნუ თუ იგინი რასმეს ჰმატებენ მშობლიურ მუსიკას?!. სრულიად არაფერს!.. ისინი აღზარდა სამშობლომ, რომელიც ისე აქვთ დავიწყებული, რომ არა თუ ქართული სიმღერა-გალობა აღარ ახსოვთ, ქართულ ლაპარაკსაც აღარ კადრულობენ!..

სხვას ალევენ თავიანთ ცოდნას, ნიჭსა და არც-კი აგონდებათ, რომ მშობლიურ მუსიკაში პატარა წვლილი მაინც შეიტანონ?!.. მაგალითი არ ყოფილა, რომ ქართველ ქალს შეედგინოს ქალების მომღ.-მგალობ. გუნდი, ან რომელიმე ქალთა წრეს, ან ქალთა საზოგადოებას თავისთან დაეარსებინოს ქალთა გუნდი და მზრუნველობა გაეწიოს.

ამ რიგად, ჩვენი მუსიკის წინმსვლელობისთვის ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში თვალს ჩინო რამ თითქმის არაფერი გა-

---

დაამტკიცა ეს! აბა ღირს იმაზე ამდენი წუხილი! იცოდე ბოროტება, ავი საქმე, არას დროს არ დაიმალება. ბოლოს, საცა იქნება, თავს გამოჰყოფს! ოქრომაც დაამტკიცა, გამოიჩინა თავის თავი, კეთილშობილება შენ წარმოიდგინე, იმის სიცუდეს და თავს მისი და განოც-კი არ მალავს! რა კაცი ყოფილა და რანაირად კი გვაჩვენა თავისი თავი, დეე, შენზე უკეთესი სხვა მენახოს ცის ქვეშეთ. ეტყობა შეიგნო ჩემი ძვირფასო, რომ შენ წმინდა გულს ვერ მოუვლიდა და ირჩია დაენებებინა შენთვის თავი.

**ქეთ**. ოხ, არა მაშო! იმან გაიგო, ამოიკითხა ჩემი გულის პასუხი!

**მაშო**. სჩანს ვერ ამოუკითხნია რიგიანად ვერ უცვნია, ჩემო კარგო! (პატარა პაუზას მერე) ქეთინო! დაანებე თავი იმ ადამიანს, რომელმაც ვერ შეძლო შენი დაფასება, ვერ იცნო შენი გულის წადილი, შენი წმინდა, შეურყეველი სიყვარული და ზიზღით შეხედე იმას. თანაუგრძნე, იმ ადამიანს, ვინც თავს გევლება უსიტყვოდ, მოკრძალებით! იდუმალის ხმით გევედრება და გეუბნება: ქეთინო ჩემო ანგელოზო რა დაგიშავე, რად არა გრძნობ ჩემი დიდის ხნის გულის ტკივილსასო!

**ქეთ**. ვისზე ამბობ?

**მაშო**. ვისზე და ჩვენ პალიკოზე? იცი, ძვირფასო? გუშინ აქ იყო, ის თაიგული იმან მოიტანა ახლაც აქ არის და უხმოდ შემოგტრფის!

**ქეთ**. რას მეუბნები, მაშო! ჩემთვის დედამიწაზე აღარავინ არსებობს. ჩემი გული ყველასთვის ცივია, მიუკარებელი!

**მაშო**. ახ, ქეთინო, რომ იცოდე რა ნაირად იტანჯება პალიკო. ნეტაი პირველადვე შენს გულს იმისთვის დაეკვნესა, რა ბედნიერი იქნებოდი! ახლა იცი ჩაგვციებია მე დადედაჩემს, უსათუოდ უნდა წავიდეს აქედან ასაზღვარ გარედაო. შეიძლება ქეთინომ იქ გადიყაროს გულს ვარამიო! იქ იწამლებს კიდევაც, თორე ისე გახდა ამ ორ თვეში, სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობა. მის სიცოცხლეს მოსპობას მეც თან გავყვებიო!

**ქეთ**. კარგია, მაშო, თუ ღმერთი გრწამს, დაანებე მაგ ლაპარაკს თავი. მომაშორეთ შენც და დედა-ჩემსაც!

**მაშო**. ქეთინო, გერწმუნე... ხომ იცი შენთვის ბედნიერება გვინდა!

**ქეთ**. მაშო, შემიბრალე! გენაცვალე, მასწავლე, ამ გულს რა ვუყო? შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილას?

**მაშო**. როგორ და პალიკოს შევირთავდი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



**ძველი მგალობელნი**

ძმანი კარბელაშვილნი—მღ. ვასილ, პოლე და ანდრო (ჩოხაში დეკ. გ. მღებრიშვილი და მღ· ალ. მოლოდდინაშვილი

გვიკეთებია.

ამიერიდან მაინც უნდა ვიზრუნოთ ამ საქმის ნაყოფიერად მოგვარებაზე, რომლის ასაღორძინებლად და ასაყვავებლად უპირველესად საჭიროა შეერთება, შეთანხმება მუსიკოსებისა, ძველ ქართულ სიმღერა-გალობის მცოდნე პირებთან და ლოტბარებთან ერთად, საჭიროა ფართო პროპაგანდა საკუთარი მუსიკალურ ორგანოს გამოცემით, ხშირად კითხვა ქართულ მუსიკის შესახებ ლექციებისა, მოხსენებისა, უმთავრესად კი სიმღერებ-საგალობლების გადაღება—გამოცემისა და გავრცელების მოწყობა. უნდა დაარსდეს ქართული, სახალხო მუსიკალური საზოგადოება, რომელმაც გახსნას ქართულ სიმღერა—გალობის სპეციალური სახალხო სკოლა, ანუ კურსები თეორიულ პრაქტიკულ სამეცადინოდ მასწავლებლებისა, ახალგაზდა ნიჭიერ მომღერალ-მგალობლებისა და სხვათათვის. საზოგადოებისავე ხარჯით შესდგეს (გალობისა კი სამღვდელოების ხარჯით) ერთი სამაგალითო მუდმივი საამო ხმებით შეწყობილი გუნდი (არა ნაკლებ 25 კაცისაგან შემდგარი), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების ყოველივე მოთხოვნილებას, სიმღერა-საგალობლების გადასაღებად. საქართველოს ყოველ კუთხეში უნდა იგზავნებოდენ მცოდნე პირნი ფონოგრაფით, წელიწადში ერთხელ მაინც. დაბა-სოფლებიდან მოწვეულ უნდა იქმნენ იქ უოივე შესანიშნავნი ძველი მომღერალ-მგალობელნი, რომელთა მონაწილეობით იმართებოდეს საერო და სასულიერო კონცერტები, სხვა ქვეყნების მსგავსად უნდა მოვაწყოთ დიდი „სიმღერა გალობათა უქმეები, მომღერალ-მგალობელთა გაჯიბრება და ნიჭიერნი ლოტბარნი, ან გუნდნი დაჯილდოვებულნი უნდა იქმნენ საზოგადოების მიერ სხვათა წასახალისებლად. საქმის ამ გვარად მოწყობა-კი ვ მეორებ მოითხოვს მცოდნე პირების შეერთებას, მუყაით, ერთგულ მუშაობას, გატაცებულ სიყვარულს და უმთავრესად-კი საზოგადოების და ჩვენი ქართველი სამღვდელოების მხურვალე თანაგრძნობას და მატერიალურ დახმარებასაც. დროა ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს ეს კეთილი საქმე, ამ საქმეში უნდა ჩავაბათ მუშა მდაბიო ხალხიც. უნდა ვეცადნეთ, ეს საქმე ხალხოსნურ ფარგალში იყვეს ჩაყენებული და ჩვენი მშობლიური მუსიკა, მხოლოდ მაშინ გამოვა იმ თითქმის გაქვავებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება და აღორძინება განვითარების გზას დაადგება.

**მიხეილ კავსაძე**

# რომანსი

**(ძღვნად ა—ს)**

ერთხელ გნახე, გულს ჩამეჭერ,
გაიჩინე მასში ბინა,—
მე ავთრთოლდი სიყვარულით
და ცრემლები მომედინა.

როგორც ცეცხლი ალგზნებული
ენთები და გულსა მდაგავ,
მე ვიწვები სიყვარულით...
განკურნების იმედს ვკარგავ.

ძილში მყოფი უცებ ვკრთები,
თითქო გულსა მცემდეს გრდემლი,
ვიღვიძებ და... ობოლ თვალზე
ისევ ცრემლი, ისევ ცრემლი...

**ლ. ძიძიგური**

# მოწყალების და

შენ მითხრობდი ბრძოლის ველზე ვით ევლები სანგრებს, თხრილებს,
თუ ვით მფარველ ანგელოსად ევლინები ძმებს დაჭრილებს,
შენ მიამბე, თუ რამდენსა ღრმა ჭრილობა განუკურნე,
ხასიკვდილოდ მომზადებულს კვლავ სიცოცხლე დაუბრუნე.
შენ მიამბე, თუ რამდენჯერ გაგიწ რავს შენი თავი,
რომ განწირულ მოძმეთათვის აგეცდინა „ძმათ საფლავი“ —
და ვინ მოსთვლის, რაც მიამბე საგმირონი შენ საქმენი,
სახე სევდით გიღიმოდა სათნოების შუქის მფენი...
გახსოვს, მითხარ: შენ რა გიჭირს, არ გინახავს ბრძოლის ველი,
არ გიგრძვნია სიკვდილის ხმა, არც ჭრილობთი ტანჯვა მწველი...
მე კი გულში ვიცინოდი, ბედნიერად როცა მთვლიდი,
შენ სადგურის დიდ საათზე განშორების წუთებს სთვლიდი.
და ჰა, ხალხიც აფუსფუსდა, ცივად დაჰკრეს უცებ ზარი,
და გაჰყევი მატარებელს, და მე ვერც კი მოვასწარი
მეთქვა შენთვის, რომ არა ვარ ჯარის კაცზე ბედნიერი,
რომელსაც სიკვდილისგან ეკარგება ხშირად ფერი;
თუმც არ ვიცი ბრძოლის ველი, და არ მხვდება ცხელი ტყვია,
თუმც არ ველი სიკვდილს მუდამ, და ჭრილობაც არ მატყვია,
მაგრამ... ვაჰმე!.. გეტყვი დაო, რომ მე გული მაქვს დაჭრილი,
ჩაგრულთ კვნესით დაკაწრული, ტანჯულთ კვნესით დასერილი;
ჩაგრულთ გმინვა წყლულს მიღვივებს, მაგრამ მკერდი მას იმარხავს,
მას ვერავინ ვერ შემიხვევს, მას ვერავინ დაინახავს!...

ი. სიხარულიძე.



პრაპ. ვლ. მირიანაშვილი
გერმანიაში ტყვედ წაყვანილი

# სიზმარი სანგრებში

(მოთხრობა)

(გაგრძელება. იხ „თ და ც.“ № 25)

სხვებთან ერთად თედოსაც ერგო კენჭი. ელისაბედი გულ-მოკლული დაიარებოდა. მისმა ხვეწნა-მუდარამ ვერ გასჭრა.

ელისაბედი სახლში დაბრუნდა, თედო-კი „სბორნი პუნქტში“ გაგზავნეს. აქედან უკვე სხვა და სხვა ქალაქებში გაამწესებდნენ ახალ ჯარის კაცებსა.

სანამ კენჭის ყრა იყო, სანამ გადასწყვეტავდნენ ვის სად გაგზავნიდნენ, თედო თავის ტოლ-ამხანაგებსა ჰხედავდა, ამიტომ მარტოობა არც-კი უგრძვნია. ისაც მათ ახალგაზრდულ თამაშ-სიმღერას აჰყვებოდა ხოლმე და იყო უზრუნველი.

მაგრამ გავიდა ერთი კვირა. ახალ ჯარის-კაცებს გამოუცხადეს, ვინ სად იყო გამწესებული, რომელ პოლკში ან რომელ ქალაქში.

თედოს იმედი ჰქონდა, სულ თავის სოფლელებთან ერთად იქნებოდა, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდა: მას პოლკში არამც თუ მისი სოფლელი ვინმე მოხვდა, არამედ, როგორც შემდეგ გაიგო კითხვის-კითხვით, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველიც არ იყო აი, აქ იგრძნო მხოლოდ თედომ მარტოობა, და სწუხდა.

რაც უფრო ჰშორდებოდა თავის სოფელს, უფრო და უფრო აწვებოდა სევდა. რუსული არ იცოდა, რომ ისმესთვის გაეზიარებინა თავისი წუხილი.

გრძელმა გზამ და „ვოინსკი“ მატარებლის ნელმა სიარულმა ხომ ამოართვა სული ბუნების წიაღში აღზრდილ თედოს. რუსეთის განუწყვეტელმა ტრიალ მინდვრებმა გული გაუწყალეს. ის ცდილობდა სადმე გორა, ქედი მაინც დაენახა, მაგრამ ოკეანესავით დიდ ტრიალ მინდვრებს ბოლო არ უჩანდა. ამ სანახაობამ თავი კი მოაბეზრა...

გზა და გზა ქალაქებსაც ხედავდა, საკმაო დიდ ლამაზ ქალაქებს, მაგრამ ვინ გაუშვებდა მათ დაწვრილებით გასაცნობად, როდესაც მისი მატარებელი დიდხანს არსად გაჩერებულა. მერმე ქალაქებმაც მოაბეზრა თავი.

აი დანიშნულ ქალაქში ჩამოვიდა მისი პოლკი აქ უნდა გაჩერებულიყვნენ. ვარჯიშობა და თოფ-იარაღის ხმარებაც აქ უნდა შეესწავლათ.

თედოს მეტად ეწყინა, როდესაც კავალერისტის ბუმბულიან ქუდის მაგიერ კარტუზი მისცეს, ხოლო ყვითელ ბუზმენტებით მორთულ ლურჯი ფერის კურტკისა და წითელ შარვლის მაგიერ რუხი ფეგის მუნდირი და შარვალი; დეზებით მორთულ ჩექმების მაგიერ რაღაც ბრაკუნა დალურსმული ჯარში ახლად შემოღებული ფეხსაცმელები. გარდა ამისა უშველებელი შინელი უთავაზეს, რომელშიც ტანით პატარა და გამხდარა თედო ოთხჯერ მაინც გაეხვეოდა.

ახალ მოსულები ორი-სამი დღე დაასვენეს და მეოთხე დღეზე სხვებთან ერთად თედოც სათამაშოდ გამოიყვანეს.

ძალიან გაუჭირდა თედოს ვარჯიშობა. რუსულ ენის მცოდნე რუსებსაც კი უძნელდებოდათ „კამანდის“ შესრულება: აბა თედოს, რაღა დაემართებოდა, როცა თავის სოფელსა და სამაზრო ქალაქს იქით არსად ყოფილა.

როგორც იყო დაისწავლა ზოგიერთი საჭირო რუსული სიტყვები, როგორიცაა „ნაპრავო-ნალევო“ და სხვა, მაგრამ როდესაც აუხსნეს აფიცრის „ჩინების“ შესახებ, მათი სალამის მიცემა და ტიტლოს დაძახება, აქ სულ მუდამ იბნეოდა და ვერ არჩევდა. ვერ იხსომებდა ღენერალისთვის რა ეთქვა და პორუჩიკისათვის რა, და ასე ყოველ ახალ რამეზე რომ გადავიდოდნენ, თედო ყოველთვის დიდ გაუგებრობა—ტანჯვაში იყო.

— ნე ტაკ, კაცო, ა ვოტ ტაკ: ნიკაკ ნეტ, ვაშე პრევოსხოდიტელსტვო,—უსწორებდა უნტერ ფიცერი და უყვიროდა, უწყრებოდა.

და თედოც სცდილობდა გაემეორებინა და დესწავლა მისი ნალაპარაკევი, მაგრამ ყოველ მის დამახინჯებულ ნათქვამ სიტყვაზე სიცილ-ხარხარი წასქდებოდათ ხოლმე მის უმფროსს და ამხანაგებსა.

თუ კი სიტყვის თქმაში ყველა მას დასცინოდა, სამაგიეროდ რასაც შეისწავლიდა და დაიხსომებდა, მასში ვერავინ აჯობებდა თოფის ხმარებაში და ვარჯიშობაში მას „ვზ ოდში“ ვერავინ სჯობნიდა, და როდესაც მინდორში გაიყვანეს სასროლად, ერთი-ორი ტყვია თუ ააცდინა, თორემ ყველა გაარტყა იშანში. ამიტომ რა გახარებული იყო, როდესაც „ზვოდში“ მის მეტს კაი მსროლელის იშანი არავის ჰქონდა.

(გაგრძელება იქნება)

**მირ. ხორხელი**

# „ღალატი“-ს ავტორთან

**ალ. ივ. სუმბათაშვილთან.**

1 თიბათვეს, „ღალატის“ წარმოდგენის დროს სახაზინო თეატრის კულისებში რო შევედი, პირველ საპირფარეშო ოთახში შევნიშნე ძველი საქართველოს **ქართველი**. ასეთი ტიპი რომელიღაც, ვგონებ გ. გაბაშვილის, ნახატში მინახავს ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, მაგრამ რადგან სცენაზე მიეშურებოდა აღარ გვისაუბრნია. „ღალატი“-ს მესამე მოქმედების შემდეგ მკლავში ხელგაყრილი შემოძღვა საპირფარეშოში და სავარძელი მომთავაზა.

— ყოველს თქვენს კითხვაზე სიამოვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით მოგიგებთ პასუხს, ოღონდ რუსულად და ხმა მაღლა მელაპარაკეთ...

— ქართული **ენა**? 9 წლიდან 19 წლამდე სამშობლოში ვცხოვრობდი, ქართლში, აქ გლეხებში და ნათესავებში ვტრიალებდი, და რაც მაშინ ვისწავლე—ის შემრჩა. შემდეგ რუსეთში ვიზრდებოდი, მაგრამ დედა უმთავრესად ფრანგულ ენას მასწავლიდა... რუსული ენა და ლიტერატურა მიყვარს, მაგრამ ეს როდი მიშლის ჩემი სამშობლოს და უცხოეთის ლიტერატურაც მიყვარდეს, თუ რუსულ ენას უპირატესობას ვაძლევ, ეგ იმიტომ რომ მე რუსთა მსახიობი ვარ და ეს ენა ჩემი იარაღია...

— **რა გზას უნდა დაადგეს ქართული თეატრი.?**—თავდაპირველად ის უნდა ითქვას, რომ თეატრი ურეპერტუაროდ სხეულია უსულოდ... ქართულ თეატრს ჰყავს საუკეთესო მსახიობნი: ქართულად „ღალატის" წარმოდგენის დროს (26 მაისს) ვასო აბაშიძემ, ნ. ჩხეიძემ, ვ. გუნიამ გამოიცეს თვისი არტისტიული ნიჭით... არც ერთი ცალიერი ადგილი არა ჰქონიათ, არც ერთი ცრუ განცდა. ეგენი არა თუ თამაშობდენ—ცოცხლობდენ. ალ. იმედაშვილი?.—ეს ხომ საუცხოვო შემოქმედებაა (დათო): თითოეული მათგანი-წინად განზრახვით კი არა სთამაშობს, არამედ ჰქმნის სწორედ იმ დროს, როდესაც ხატების ამა თუ იმ მდგომარეობას ასახიერებს. მაგრამ რა ქმნას კარგმა მსახიობმა თუ მასალა არ ექნება? ქართულ თეატრს ეჭირვება ახალი დ. ერისთავი. კომედია—აი, რას თხოულობს დღეს მაყურებელი და სად შეუძლიან ფრთა გაშალოს ქართველმა მსახიობმა... ერთი სიტყვით ნიჭიერი დრამატურგია საჭირო, და განა მასალა ცოტაა? აიღეთ თუნდა ქართველ-სომეხთა ანუ სომეხ-თათართა ურთიერთობა, ჩვენი ინტელიგენცია. მაგ. პიესაში გამოვიყვანდი ქართველ ქალსა და სომეხ ვაჟს, ანუ სომეხსა და თათარს და მათი წრის ურთიერთობას..,

— **ქართველ-სომეხთა ურთიერთობა?** ფრიად სამწუხარო მოვლენაა და რაც უფრო მალე ჩანელდება—მით უკეთესი ჩვენი მომავლისთვის და მე მწამს, რომ ეს უთანხმოება მოისპობა.

— **რას ვფიქრობ სამშობლოს სამსახურზე?** გაუგებელია ზოგიერთების საქციელი, ღალატს რო მიკიჟინებენ!.. განა პავლე ტრუბეცკოი, ეს შესანიშნავი რუსის მოქანდაკე, რომელიც სიყრმიდანვე იტალიაში ცხოვრობს, სამშობლოს ენისა ერთი სიტყვა არ იცის და სახელიც-კი პავლე პაოლოდ შეიცვალა, მაგრამ შესანიშნავ ქანდაკებათ ჰქმნის და რუსის მოქანდაკედ არის ცნობილი,—სამშობლოს მოღალატეა? განა შექსპირი, ეს ინგლისის შვენება, იმავე დროს ჩვენი სიამაყე არ არის და ინგლისის სახელი უფრო არ განადიდა?—მე რომ მკითხოთ ერთი შექსპირი რუსის ას უნიჭო მწერალს მირჩევნიან, რაიცა შემეხება მე... მეც ჩემს სამშობლოს და საზოგადოდ ხელოვნებას ისე ვემსახურები, როგორც შემიძლიან... მე ვტრიალებ რუსის უმაღლეს მოაზროვნე, ხელოვნება—მწერლობის მოყვარულთა საზოგადოებაში, სადაც ქართველად მიცნობენ, მშვენიერ საქართველოს შვილად და ყოველთვის ვცდილობ ჩემი სამშობლოს სახელი კიდევ უფრო განდიდდეს.

— **დრამატიული სკოლა?** რა თქმა უნდა სკოლა საჭიროა, მაგრამ არა ისეთი, როგორც საზოგადოთ შკოლას გულისხმობენ მსახიობისთვის საჭიროა დიდი, ყოველმხრივი. ცოდნა და უმთავრესად იმ ენაზე აღზრდა, რომელზედაც ფიქრობს იმსახიობოს. არ შეიძლება **რუსული** ენით აღზრდილი **ქართული** სცენის მსახიობი იყოს... დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ხმის დაყენებას, გამოთქმასა და მიხვრა-მოხვრას. მე რომ მკითხონ, ახალგაზდა სახიობს მთელი ერთი თვე მხოლოდ ერთ სიტყვას შევასწავლიდი, სახელდობრ. შემოსულიყო ხოლმე და ეთქვა—„**გამარჯობა**"..  დიახ, ამასაც შესწავლა უნდა. ყველა კაცს თავისებური გამოთქმა აქვს და ამას სწავლ, ეჭირვებოდა... მსახიობი როლს უნდა განიცდიდესროლით სუნთქავდეს, თუ სურს მისიშემოქმედება ბუნებრივი იყოს.

არტისტობის სწავლა კი შეუძლებელია,—ეს ხომ იმას ემგვანება, კაცს უთხრა მწერლობა ისწავლეო. განა მე შემიძლიან ტოლ-

სტოი გავხდე? — ტოლსტოი მხოლოდ **ერთი** იყო. შეიძლება მივბაძო, მაგრამ ეს იქნება კარიკატურა. ასეა მსახიობიც: მას წრთვნაუნდა, ტეხნიკური განვითარება, მაგრამ თუ ბუნებით ნიჭი, შინაგანი ცეცხლი არ ახლავს — ის ხელოვანი შემოქმედი ვერ იქნება...

— **რა გზით ავაშენოთ თეატრი?** ჩვენ იმდენი თანხა არა გვაქვს, ერთბაშად ავაგოთ თეატრი, ამიტომ საჭიროა შეუჩერებლივ ვაგროვოთ შემოწირულება. სანამ საკმაო თანხას შევაგროვებდეთ... მე ჩემი მხრით რაც შემეძლო გადავეცი...

— **სამხატვრო თეატრის მიმართულება?** — ჩემი შეხედულება უკვე აშკარაა. მას არ ვეთანხმები, — ამ თეატრის არსებობა მხოლოდ ორიოდე კაცის საქმეა...

— **სამშობლოში დავბრუნდე და ქართულ სცენაზე განისმას ჩემი ავტორიტეტული ხმა?** მალე სამოცი წლისა შევსრულდები. სამშობლოში ვერ დავბრუნდები და ახლა მე ქართული სცენისთვის ვერც ვერაფერს გავაკეთებ.

მე ამ ჟამად ვსწერ ერთ ნაწარმოებს. რაფაელისა და მისი დროის ხელოვანთა ხანის შესახებ, რომელზედაც ოცი წელიწადია ვფიქრობ...

საკითხავი და საპასუხო კიდევ ბევრი დაგვრჩა, მაგრამ ეს ველარ მოვასწარით უკვე სცენაზე გაიხმეს. გარდა ამისა გენერლობის და ინტელიგენტთა რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა. იგიც ყველას უხვდებოდა...

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საოცარმა წესმა — დისციპლინამ: „დალატის“ ავტორი და მისი თანამშრომელნი, რომელთაც ჯერ მარტო ტბილისში „ღალატი“ ხუთჯერ ითამაშეს, ყოველ წვრილმანშიც-კი რეჟისორს (ალ. წუწუნავას) ემორჩილებოდნენ და ნაკისრ როლს სალვთო სიწმინდით ასრულებდნენ... ნაბიჯი, ხმა, გამოთქმა, მიხვრამოხვრა, — ყოველივე ეს ისე იყო გამოზომილშეწყობილი, რომ გაოცდებოდით...

**იოსებ არიმათიელი**



**საჩხერის თეატრის** ახალმა გამგეობამ (კნ. მარ, წერეთელმა, ეკ. ჭოლოშვილისა, ეფ. წულუკიძისა, სევ, ჭოლოშვილი და თავ. ალ. წერეთელი) მხნედ მოჰკიდა ხელი საქმეს: ბ-ნ ვ. შუგალოვს მოაწყობინა სათეატრო დარბაზი და შეიძინა ავეჯეულობა. რაკი საზოგადოებამ დაინახა გამგეობის ნაშრომი, თვითონაც დაეხმარა სხვა და სხვა ნივთების შეწირვით. რეჟისორად მიწვეულია იანგო ავტალიძი, რომელიც მუყაითად მუშაობს. იანვრის აქედ გამართულ წარმოდგენებიდან შემოვიდა 1000 მან-დე. 26 ივნისისათვის გამგეობის თაოსნობით დანიშნულია თეატრის კურთხევა. კურთხევაზე კ. აბაშიძე და გიორგაძე წარმოსთქვამენ დროის შესაფერ სიტყვებს შემდეგ წაიკითხება მილოცვები, საღამოზე წარმოადგენენ „სამშობლო“-ს, წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ვახშამი. შემოსავალი თეატრს მოხმარდება, საჭიროა საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდოს ამ საქმეს, ამ საქმის თაოსანნი, სცენის მოყვარენი და რეჟისორი მადლობის ღირსნი არიან, რომ პირნათლად ემსახურებიან ნაკისრ საქმეს და სულიერ საზრდოს აძლევენ საჩხერის საზოგადოებას.

ვუსურვებთ სრულს წარმატებას.

**შალიკო სვადაშენელი**

**რ. სალაყაიას 20 წ.** სახ. სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად სახ. სახლში 26/V წარმოადგინეს „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“. მესამე მოქმედებაში დამსახურებულმა მსახიობმა კ, ყიფიანმა სცენაზე გამოიყვანა მ დღესასწაული რ. სალაყაია და გრძნობიერი სიტყვაც უთხრა, რასაც ხალხი ტაშით შეხვდა. მიულოცეს წრის გამგეობამ, ადგილობრივმა, საბურთალოს სცენის და სხვა მოყვარეებმა. მიართვეს საჩუქრებიც. — როგორც შევიტყეთ ავლაბარის თეატრშიაც განუზრახავთ, სამადლობელი წარმოდგენა გაუმართონ დამსწრე.

# წვრილი ამბები

**დ. ბორჯომში** წ. კ. გამ. საზოგადოების განყოფილებასთან არსებული ქართულ სცენის მოყვარეთა წრე 26 ივნისისთვის სდგამს ვ. გუნიას „და-ძმას“.

**დ. სურამში** 11 თიბათვეს სურამის საზოგადო საკრებულოს შენობაში ადგილობრივმა ქართველ ქალთა საზოგადოების „მანდილოსანი“-ს განყოფილებამ. თავის ქონების გასაძლიერებლად გამართა რუსულ-ქართული წარმოდგენა. შემოსავალი კარგი იყო. ხსენებულმა საზოგადოებამ თავისი მოქმედება უკვე დაიწყო და 19 ივნისს დიდის ზეიმით სახაიეც აკურთხეს.

◆ **დ. ხაშურის თეატრში** კვირას ლოტბარი გოძიაშვილი გამართავს თავის კონცერტებს. აქედან აპირებს გამგზავრებას სურამ- ბორჯომში.

◆ **მწერალი ია ეკალაძე,** „სამშობლო“ს რედაქტორი გასულ კვირას თბილისში იყო ალ. ყიფშიძის დაკრძვალაზე დასასწრებლად.

◆ **ახალი ვოდევილი** „ფუტურისტები დასწერა ვ. ურუშაძემ

◆ **ალ. იმედაშვილმა** რუსულიდან სთარგმნა სამხიარულო ვოდევილები

◆ **მსახიობი ქალი** მარო მდივანი ხონში მიიწვიეს.

◆ **თეატრის სასარგებლოდ** ზესტაფონში გამართულ სეირნობას კარგი შემოსავალი ჰქონდა.

◆ **ზესტაფონის თეატრის** გადაკეთება დაიწყეს, განახლებულ თეატრში 260 ადგილი იქნება.

◆ **თეოფილე ხუსკივაძის** სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის თავი სრულდება ამ წლის 1 მკათათვეს.

◆ **სახალხო თეატრში** ქართულ წრის საზოგადო კრება შესდგება 30 თიბათვეს.

◆ **მასწავლებელთა დამფუძნებელ** კრების ანგარიშის დაბეჭდვა შემდეგისთვის გადაიდო.

◆ **ქუთაისის დრამ. საზოგადოებამ** თბილისის დრამ. საზ. გამგეობას შემოუთვალა—ერთი დასი ვიყოლიოთ თბილის-ქუთაისში წარმოდგენების მმართველადო.

**ალ. ყიფშიძე** მადლიერმა ერმა გასულ სამშაბათს, 21 თიბ. შესაფერი პატივით დაკრძალა დიდუბის პანთეონში. თუმცა აკვეთილი იყო, მაინც ოცამდე გვირგვინი ამკობდა სხვათა შორის ცოცხალი თავთავის გვირგვინები „ზემო ქართლის მადლიერ გლეხთაგან“, საღოლაშენის გლეხკაცთაგან“ და სხ. სიტყვები წარმოსთქვეს ანტიონ ეპისკოპოსმა, დეკ. ი. მირიანაშვილმა, მღვ. ვ. კარბელაშვილმა, ს. კედიამ („საქართველო ), „სამშობლოს“ რედაქტორ-გამომცემელმა ი. ცინცაძემ, ახალ-ციხის წარმომადგენლებმა დეკ. ხახუტაშვილმა, ქართველ მაჰმადიანმა მაჩაბელმა თათრულად (ჯავახეთიდან), ბ. კანდელაკმა, გურჯანელმა გლეხმა ზარდიაშვილმა და სხვ დაესწრენ: წოდებათა, პრესის დასხ. წარმომადგენელნი. სხვათა შორის იყვნენ: ოსეთიდან სოფ· სხლებიდან, მღ. ალ ბეგიზაშვილი ქრიიდან - მღ. ცხოვრებაშვილი, ეროვ დემოკრ სტუდენტი - ილ. ელენტი, სტუდენტთა დამხმრე საზ ისა და „სამშობლო“—ი. ეკალაძე, ქვემო ხვედურეთიდან გლეხები ზებედაშვილი, ვანო ელბაქიძე დ ტატე ელბაქიძე (თავთ ვის გვირგვინით , გიორგი წმინდაიდან —სამსონ მეკოკიშვილი, ზემო ქ რთლიდან—გლეხები ვლ. ნოზაძე, დავ. საბანაძე (თავთავის გვირგვინით) ზემოგომის საკრ. ამს. იპ ყაველაშვილი, ახალ ციხიდან —ბახი ბეგ მაჩაბელი, ზიაბეგ ღვინიაშვილი, დეკ· ხ ხუტაშვილი, ბ. კანდელაკი, საღოლაშენიდან —ალ ნახუცრიშვილი, გიგო შუბიტიძე, ტაბალიკევიდან— სიმ. წიკლ აური, დიღმიდან —ეფრ. სონღულაშვილიგორის მ.ზრ. ფალავანდიშვილთა საგვარეულოდან—კ, ფ ლავნიიშვილი და სხ.

◆ **ალ. ბოდ შიხინოვი** გასულ შაბათს დაკრძალეს ფრანგების სასაფლაოზე, ამქრების და სხ. თანადასწრებით. კუბო ოცამდის გვირგვინით იყო შემკული.

◆ **ქართველ ქალთა საზ.ის** სეირნობას 19 თიბ. ვერის პარკში სასურველი ამინდი ვერ დაუდგა და საიმისო ხალხიც ვერ დაესწრო, თუმცა სეირნობისთვის საუ ეთესო ადგილად უნდა ჩაითვალოს ხსენებ. პარკი.


## ახალი კლუბი

1 კვირის პროგ 26 ივნ. — 3 ივლს

**ორშაბათი** — რუსული ოპერეტა

**სამშაბათი** - სიმფონიური კონცერტი

**ოთხშაბათი** - სინემატ სიმფ. ორკესტრი

**ხუთშაბ.** —ქართ. წარმ. (უფას); ორკ.,

**პარასკ.** სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.

**შაბ.** —სიმფ კონც. **სარაჯიშვილის** მონაწ.

**კვირა** —საბავშო საღამო, ორკეს, სინემატ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ ს.

**შესასვლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოსამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1-05 კ.

## თბ. სახელოსნო კლუბი

კვირას 26 ივნის

**საბურთალოს სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის სასარგებლოდ**

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტა

## არშინ მალ ალან

ოპ. 4 მოქ. ჰაჯიბეგოვისა, თარგ. ვ. გიგოშვილისა ფასი 1 მ. 15.-ან 40კ.-დე. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში 5 საათიდან—10 სათამდეს.

გამგელ **ბაქრაძე**.





რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილის**-

Дозволено Военной Цензурой **სტამბა „სორაპანი“**

**„სორაპანი“**